## კონკურსის ჩატარების პირობები

1. საქართველოს მუსიკოს შემსრულებელთა მეშვიდე კონკურსი ჩატარდება ქ. თბილისში 2019 წლის 10-20 აპრილს;
2. კონკურსი ტარდება 4 წელიწადში ერთხელ შემდეგ სპეციალობებში: ფორტეპიანო, სოლო-სიმღერა, სიმებიანი საკრავები, ჩასაბერი საკრავები;
3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლის ასაკი 2019 წლის აპრილისათვის იქნება 16-დან 30 წლის ჩათვლით;
4. კონკურსგარეშე მოსმენაზე დაიშვებიან 16 წლამდე ასაკის, განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები შემდეგ სპეციალობებში: ფორტეპიანო, სიმებიანი საკრავები, ჩასაბერი საკრავები; დასაშვებია ერთი ნებისმიერი პროგრამის შესრულება, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 15-20 წუთს ფორტეპიანოს სპეციალობაზე, ხოლო 10-15 წუთს სიმებიან და ჩასაბერ საკრავთა სპეციალობებზე;
5. კონკურსზე არ დაიშვებიან ის შემსრულებლები, რომელთაც წინა კონკურსებზე მიღებული აქვთ პირველი სამი პრემია და ლაურეატის წოდება;
6. კონკურსგარეშე მოსმენაზე არ დაიშვებიან წინა კონკურსებზე “საუკეთესო კონკურსგარეშე მონაწილედ” დასახელებული შემსრულებლები;
7. კონკურსი ტარდება სამ ტურად; კონკურსის II ტურში დაიშვება I ტურში მონაწილეთა არა უმეტეს 50%-ისა; ფინალში კი არა უმეტეს ექვს-ექვსი მონაწილისა ყოველი სპეციალობიდან;
8. ყველა ტურის მოსმენა საჯაროა;
9. პროგრამები სრულდება ზეპირად;
10. ტურებში ნაწარმოების გამეორება დაუშვებელია (გამონაკლისი შეეხება მხოლოდ სოლო სიმღერის სპეციალობას);
11. წარმოდგენილ პროგრამებში ცვლილებები დაუშვებელია;
12. მონაწილეთა გამოსვლის თანმიმდევრობას წყვეტს კენჭისყრა ყოველ სპეციალობაზე ცალ-ცალკე; ეს თანმიმდევრობა შენარჩუნებული იქნება კონკურსის ბოლომდე;
13. ყოველი მონაწილე ვალდებულია დაესწროს კენჭისყრას, რომელიც შედგება 2019 წლის 10 აპრილს;
14. პირველი სამი პრემიის მფლობელი დაჯილდოვდება კონკურსის სამახსოვრო მედლით, დიპლომით და ფულადი პრემიით, დანარჩენი სამი კი კონკურსის დიპლომით და ფულადი პრემიით;
15. კონკურსში გამარჯვებულები მონაწილეობას იღებენ დასკვნით კონცერტში (ანაზღაურების გარეშე);
16. კონკურსის მსვლელობისას გაკეთებული ყველა სახის ჩანაწერი “საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის” საკუთრებაა.

## ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ

1. საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა VII კონკურსის პრემიები:
   - I პრემია - 3000 ლარი და სამახსოვრო მედალი
   - II პრემია - 2000 ლარი და სამახსოვრო მედალი
   - III პრემია - 1000 ლარი და სამახსოვრო მედალი
2. ფინალურ ტურში გასულ დანარჩენ მონაწილეებს ენიჭებათ დიპლომი და ფულადი პრემია - 500 ლარი;
3. საუკეთესო კონცერტმაისტერებს ენიჭებათ დიპლომი და ფულადი პრემია – 500 ლარი;
4. საუკეთესო კონკურსგარეშე მონაწილე დაჯილდოვდება დიპლომით;

## ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

კონკურსის და კონკურსგარეშე მონაწილეები შესაძლებელია დაჯილდოვდნენ სპონსორების მიერ დაწესებული პრიზებით, პრემიებით, სტიპენდიებით

## ᲟᲘᲣᲠᲘ

1. კონკურსის ჟიურის უფლება აქვს არ გასცეს ყველა პრემია;
2. პრემიები არ გაიყოფა;
3. ჟიურის წევრებს უფლება არა აქვთ კონკურსზე წარმოადგინონ თავისი მოსწავლეები, რომლებიც კონკურსის ჩატარების პერიოდში ირიცხებიან მათ კლასში;
4. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება.

## ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

1. მონაწილეები თვითონ იხდიან მგზავრობისა და საცხოვრებლის საფასურს;
2. მონაწილეებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2019 წლის 8,9 აპრილს.

## ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

1. კონკურსში მონაწილეობისათვის, კონკურსის დირექციაში შემოტანილ უნდა იქნას შევსებული ანკეტა- განაცხადი და სრული პროგრამა ტურების მიხედვით, არა უგვიანეს 2018 წლის 1 დეკემბრისა; (გამოგზავნის თარიღი განისაზღვრება საფოსტო შტემპელის მიხედვით);
2. პროგრამის ხელმეორედ დაზუსტების საბოლოო ვადაა 2019 წლის 1 თებერვალი;
3. პროგრამაში, ნაწარმოების შესრულების ხანგრძლივობა ზუსტად უნდა იყოს მითითებული;

**მისამართი:** 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ.N8, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი, "საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი", "საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მეშვიდე კონკურსის დირექცია".

## ანკეტა-განაცხადს უნდა ერთვოდეს შემდეგი საბუთები:

1. დაბადების მოწმობის ასლი;
2. განათლების მოწმობის ასლი;
3. სხვა კონკურსების დიპლომების და ჯილდოების ასლები;
4. შემოქმედებითი ავტობიოგრაფია;
5. ბოლო პერიოდის მაღალი ხარისხის 2 შავ-თეთრი ფოტო-სურათი 9X12 (JPG ფაილით);
6. შესატანი თანხის (50 ლარი) საბანკო გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (აპლიკანტის გვარის მითითებით)

**თანხა უნდა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე:**
ხაზინის ერთიანი ანგარიში
საბანკო კოდი - TRESGE22
მიმღების დასახელება
"საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი"
ს/კ 203862016
ანგარიშსწორების ანგარიში - 743247499

- **განაცხადი და საბუთები მიიღება ერთდროულად;**
- **საბუთები და შეტანილი თანხა მონაწილეებს უკან არ დაუბრუნდებათ.**

## დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ მისამართზე:

0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ.N8, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი,
“საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი”,
“საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მეშვიდე კონკურსის დირექცია”;
ტელ: 292 24 46; ტელ/ფაქსი: 292 24 47;
ელ. ფოსტა: classica@classica.ge
ვებ გვერდი: www.tbilisipiano.org.ge

# საკონკურსო პროგრამები



## ფორტეპიანო

**I ტური**

1. ორი ვირტუოზული ეტიუდი:
- ერთი - ფ. შოპენი - თხზ. 10 ან 25-დან;
- მეორე - ფ. ლისტი ან ს. რახმანინოვი;

2. ი. ჰაიდნი, ლ. ვ. ბეთჰოვენი ან ფ. შუბერტი - სონატის I ნაწილი, დაწერილი სონატური ალეგროს ფორმით;

**II ტური**

(პროგრამის ხანგრძლივობა 30-35 წუთი)

1. ი. ს. ბახი - პრელუდია და ფუგა “კარგად ტემპერირებული კლავირის” I ან II ტომიდან;
2. ვ. ა. მოცარტი - ნებისმიერი სონატა;
3. ქართველი კომპოზიტორის პიესა;
4. პიესა შემსრულებლის შერჩევით;

**III ტური**

ნებისმიერი პროგრამა 40 – 45 წუთის ხანგრძლივობით.

# სოლო სიმღერა



**I ტური**

1. XVII-XVIII სს. კომპოზიტორის არია;
2. XIX საუკუნის კომპოზიტორის არია;
3. რომანსი შემსრულებლის შერჩევით (დასაშებია ქართული, დასავლეთ ევროპული და რუსული);

**II ტური**

1. არია შემსრულებლის შერჩევით (დასაშვებია ვ. ა. მოცარტის და ჯ. როსინის არიაც);
2. ქართველი კომპოზიტორის არია;
3. ხალხური სიმღერა;

**III ტური**

1. XIX-XX სს. კომპოზიტორის არია; (დასაშვებია არიის გამეორება - I ტურიდან N2 ან II ტურიდან N1)
2. XIX-XX სს. არია შემსრულებლის შერჩევით.

# სიმებიანი საკრავები



## ვიოლინო

**I ტური**

1. ი.ს. ბახი – ნებისმიერი სოლო სავიოლინო სონატის I და II ნაწილი ან ჩაკონა;
2. ნ. პაგანინი – ერთ-ერთი კაპრისი (გარდა N13, 14, 15, 16, 18 და 20-ისა), ან გ. ვენიავსკი – ერთ-ერთი  კაპრისი შემდეგი ჩამონათვალიდან: თხზ.10, N2, 3, 4, 7, 8:
3. ვ.ა. მოცარტი – ნებისმიერი კონცერტის I ნაწილი;

**II ტური**

1. ლ. ვ. ბეთჰოვენი - ნებისმიერი სონატა მთლიანად ან XX საუკუნის კომპოზიტორის სონატა მთლიანად (ლ. იანაჩეკი, ფ. პულენკი, კ. დებიუსი, მ. რაველი, რ. შტრაუსი, ს. პროკოფიევი, დ. შოსტაკოვიჩი, ბ. ბარტოკი, კ. შიმანოვსკი, ა. შნიტკე);
2. ვირტუოზული ნაწარმოები;
3. ქართველი კომპოზიტორის პიესა;

**III ტური**

კონცერტი მთლიანად (შემსრულებლის შერჩევით);
(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## ალტი

**I ტური**

1. ერთი ეტიუდი ან კაპრისი შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - ფ.ა. ჰოფმაისტერი – ერთ-ერთი საკონცერტო ეტიუდი N1, 4, 5 ან 7;
   - ბ. კამპანიოლი – ერთ-ერთი კაპრისი თხზ. 22, N5, 17, 18, 30, 32, 35 ან 41;,
   - ნ. პაგანინი - 24 კაპრისი, თხზ.1;
   - ი. პალაშკო - 10 საკონცერტო ეტიუდი, თხზ.44;
   - პ. როდე - 24 კაპრისი, თხზ. 22 N2, 4, 8 ან 10;
   - ი. დონტი - ეტიუდები და კაპრისები თხზ. 35 N2, 3, 5, 12, 13, 14 ან 17;
2. ნებისმიერი ორი ნაწილი შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - ი.ს. ბახი – სიუიტები სოლო ვიოლონჩელოსათვის BWV1007-1012;
   - ი.ს. ბახი - სონატები და პარტიტები სოლო ვიოლინოსათვის BWV 1001-1006;
   - მ. რეგერი – სიუიტები სოლო ალტისთვის: თხზ. 131d N1, 2 ან 3;
3. ერთერთი კონცერტის I ნაწილი შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - გ.ფ. ჰენდელი – კონცერტი ალტისათვის სი მინორი;
   - ფ.ა. ჰოფმაისტერი - კონცერტი ალტისათვის რე მაჟორი;
   - კ. სტამიცი - კონცერტი ალტისათვის რე მაჟორი, თხზ.1;

**II ტური**

1. ერთ-ერთი სონატა ალტისა და ფორტეპიანოსათვის შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - ი. ბრამსი – ფა მინორი, თხზ. 120, N1 ან მი-ბემოლ მაჟორი, თხზ. 120 N 2;
   - ფ. შუბერტი – `”არპეჯიონე” ლა მინორი;
   - ა. ონეგერი - ლა მინორი, H.28;
   - პ. ჰინდემიტი - თხზ. 11, N 5, თხზ.25 N 1 ან ერთი სონატა სოლო ალტისათვის;
   - დ. შოსტაკოვიჩი – დო მაჟორი, თხზ. 147.
2. ერთი ნაწარმოები შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - რ. შუმანი - ,,ზღაპრული სურათები”, თხზ. 113;
   - ჯ. ენესკუ – საკონცერტო პიესა;
   - კ.მ. ვებერი – “ანდანტე და უნგრული რაფსოდია”, თხზ.35;
   - მ. ბრუხი - რომანსი ფა მაჟორი, თხზ. 85
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები (შემსრულებლის შერჩევით);

**III ტური**

კონცერტი მთლიანად, შემსრულებლის შერჩევით (I ტურში შესრულებულის გარდა) (კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## ჩელო

**I ტური**

1. ი.ს. ბახი – I ან II სიუიტიდან ორი ნებისმიერი ნაწილი ან III სიუიტიდან პრელუდია და სარაბანდა, ან IV, V, VI სიუიტიდან პრელუდია სოლო ჩელოსათვის.
2. ერთი ეტიუდი ან კაპრისი სოლო ჩელოსათვის შემდეგი კომპოზიტორების ჩამონათვალიდან: ი. დოცაუერი, დ. პოპერი, ა. პიატი;
3. XVIII საუკუნის კომპოზიტორის სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - ჟ.ბ.ს. ბრევალი - სონატა სოლ მაჟორი, მთლიანად;
   - ჯ. ვალენტინი - სონატა მი მაჟორი I და II ნაწილი;
   - ლ. ბოკერინი - სონატა ლა მაჟორი N6, I და II ნაწილი;
   - ფ. ფრანგიორგი - სონატა მი მაჟორი, I და II ნაწილი;

**II ტური**

1. ერთი სონატა (მთლიანად) ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის შემდეგი კომპოზიტორების ჩამონათვალიდან: ლ.ვ. ბეთჰოვენი, ფ. შუბერტი (Arpeggione) ი. ბრამსი, დ. შოსტაკოვიჩი, ს. პროკოფიევი, ბ. ბრიტენი.
2. ერთი ვირტუოზული თხზულება ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - დ. პოპერი “ჯარა” ან “ელფების ცეკვა”
   - ჩაიკოვსკი - “Pezzo caprioccioso”
3. ქართველი კომპოზიტორისერთოო ნაწარმოები ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის

**III ტური**

კონცერტი მთლიანად შემდეგი ჩამონათვალიდან:

- ი. ჰაიდნი - კონცერტი დო მაჟორი ან რე მაჟორი;
- რ. შუმანი - კონცერტი ლა მინორი;
- ა. დვორჟაკი - კონცერტი სი მინორი;
- პ. ჩაიკოვსკი - "ვარიაციები როკოკოს თემაზე";
- დ. შოსტაკოვიჩი - კონცერტი N1 მი-ბემოლ მაჟორი

(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## კონტრაბასი

**I ტური**

1. ი.ს. ბახი – პრელუდია სიუტიდან N2, რე მინორი;
2. ფ. სიმანდლი ან ე.შტროხი – ორი ეტიუდი;
3. ერთ-ერთი სონატა შემდეგი კომპოზიტორების ჩამონათვალიდან: გ. ფ. ჰენდელი, მ. ეკელსი ან ბ. მარჩელო.

**II ტური**

1. სონატა შემდეგი კომპოზიტორების ჩამონათვალიდან: ე. მიშაკი, ც. ფრანკი ან პ. ჰინდემიტი;
2. ვირტუოზული ნაწარმოები;
3. ქართველი კომპოზიტორის პიესა;

**III ტური**

კონცერტი (შემსრულებლის შერჩევით);
(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

# ჩასაბერი საკრავები



## ფლეიტა

**I ტური**

1. კ. ფ. ე. ბახი – სონატა ლა მინორი, H562;
2. ვ.ა. მოცარტი - რონდო რე მაჟორი, KV Anh184.

**II ტური**

1. ერთ-ერთი სონატა შემდეგ კომპოზიტორთა ჩამონათვალიდან:
   - ფ. პულენკი;
   - კ. რაინიკე - “უნდინე”, თხზ. 167
   - ბ. მარტინუ;
   - ს. პროკოფიევი - სონატა რე მაჟორი, თხზ. 94;
   - პ. ჰინდემიტი;
2. ერთერთი ვირტუოზული პიესა შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - გ. ფორე - ფანტაზია;
   - ჯ. ენესკუ - კანტაბილე და პრესტო;
   - ა. კაზელა - სიცილიანა და ბურლესკა, თხზ. 23;
   - ჯ. ანდერსენი - ბალადა და სილფების ცეკვა, თხზ.5;
   - ე. ბოცა - აგრესტიდი, თხზ.44;
   - ა. ჟოლივე - ლინოსის სიმღერა;
   - ჟ. ჰიუ - ფანტაზია.
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები;

**III ტური**

ერთ-ერთი კონცერტი შემსრულებლის შერჩევით:
- ვ.ა. მოცარტი – კონცერტი N1, სოლ მაჟორი, k313 ან N2, რე მაჟორი, K314;
(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## ჰობოი

**I ტური**

1. ა. ვივალდი – კონცერტი დო მაჟორი ან ლა მინორი ან ი.ს. ბახი – კონცერტი სოლ მინორი, BWV 1056R;
2. გ. ტელემანი – ნებისმიერი ფანტაზია სოლო ჰობოისათვის;

**II ტური**

1. ფ. პულენკი – სონატა;
2. ვირტუოზული პიესა;
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები;

**III ტური**

ერთ-ერთი კონცერტი შემდეგი ჩამონათვალიდან:

- ვ. ა. მოცარტი – კონცერტი N1, დო მაჟორი, K314;
- რ. შტრაუსი – კონცერტი დო მაჟორი AV 144, TrV 292
- ა. პასკული – კონცერტი ფა მაჟორი;

(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## კლარნეტი

**I ტური**

1. ერთ-ერთი კონცერტი შემდეგი ჩამონათვალიდან: (I ან II-III ნაწილები)
    - კ. მ. ვებერი – კონცერტი N1 ფა მინორი, თხზ. 73;
    - კ. მ. ვებერი N2 მი-ბემოლ მაჟორი, თხზ. 74;
    - ფ. კრამარჟი – კონცერტი N1 მი-ბემოლ მაჟორი, თხზ. 36;
2. ვირტუოზული პიესა;

**II ტური**

1. ფ. პულენკი – სონატა;
2. მე-20 საუკუნის კომპოზიტორის ვირტუოზული პიესა;
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები;

**III ტური**

ერთ-ერთი კონცერტი შემდეგი ჩამონათვალიდან:

- ვ. ა. მოცარტი – კონცერტი ლა მაჟორი, K. 622;
- კ. კურპინსკი – კონცერტი სი-ბემოლ მაჟორი;
- ბ. გრუზელი – კონცერტი N2, ფა მინორი, თხზ.5 ან კონცერტი N3, სი-ბემოლ მაჟორი, თხზ.11
- ლ. შპორი - კონცერტი N1, დო მინორი, თხზ.26 ან კონცერტი N4, მი მინორი, WoO20

(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## ფაგოტი

**I ტური**

1. ა. ვივალდის ნებისმიერი კონცერტი;
2. ვირტუოზული პიესა;

**II ტური**

1. კ. სენ-სანსი – სონატა (მთლიანად);
2. XX საუკუნის კომპოზიტორთა ვირტუოზული პიესა;
3. ქართველი კომპოზიტორის პიესა;

**III ტური**

ერთ-ერთი კონცერტი შემდეგი ჩამონათვალიდან:

- ვ.ა. მოცარტი – კონცერტი სი-ბემოლ მაჟორი, K. 191;
- კ.მ. ვებერი - კონცერტი ფა მაჟორი, თხზ. 75

(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## ვალტორნა

**I ტური**

1. ერთ-ერთი კონცერტის I ან II-III ნაწილები შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - კ. მატისი – კონცერტი N1, ფა მაჟორი, თხზ. 12 ან კონცერტი N3, სოლ მაჟორი, თხზ.39;
   - ვ.ა. მოცარტი - კონცერტი N 3, მი-ბემოლ მაჟორი, K477;
2. ვირტუოზული პიესა;

**II ტური**

1. ი. ჰაიდნი – კონცერტი N2 რე მაჟორი, Hob. VIId:4 (I, ან II - III ნაწილები);
2. რ. დუკასი – ვილანელა;
3. ქართველი კომპოზიტორის პიესა;

**III ტური**

ერთ-ერთი კონცერტი შემდეგი ჩამონათვალიდან:

- ვ.ა. მოცარტი – კონცერტი N4, მი-ბემოლ მაჟორი, K. 495;
- რ. შტრაუსი – კონცერტი N1, მი-ბემოლ მაჟორი, თხზ. 11;

(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## საყვირი

**I ტური**

1. ი. ჰაიდნი - კონცერტი მი-ბემოლ მაჟორი, I ნაწილი;
2. ერთ-ერთი ნაწარმოები შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - ა. გედიკე - საკონცერტო ეტიუდი;
   - ა. არუთინიანი - სკერცო;
   - მ. შოლოკოვი - სკერცო;

**II ტური**

1. ი.ს. ბახი – პრელუდია (დამუშავებული შ. გუნოს მიერ);
2. ვირტუოზული ნაწარმოები;
3. ქართველი კომპოზიტორის პიესა;

**III ტური**

კონცერტი შემსრულებლის შერჩევით
(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## ტრომბონი

I ტური

1. ერთერთი კონცერტი შემდეგი ჩამონათვალიდან:
   - ფ. დავიდი – კონცერტინო მი-ბემოლ მაჟორი;
   - ი. პაუერი - კონცერტი-ტრომბონეტა დო მაჟორი;
2. ვირტუოზული პიესა.

II ტური

1. ვ. ბლაჟევიჩი – კონცერტი N9 ან N10;
2. პიესა (შემსრულებლის შერჩევით);

III ტური

ერთ-ერთი კონცერტი შემდეგი ჩამონათვალიდან:
- რ. ალიბეგაშვილი – კონცერტი სი-ბემოლ მაჟორი;
- ა. ნესტეროვი - კონცერტი, თხზ. 11

(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)

## ტუბა

I ტური

1. ლებედევი – კონცერტინო ტუბისა და ფორტეპიანოსათვის ლა მაჟორი;
2. ორი პიესა - შემსრულებლის შერჩევით;

II ტური

1. ა. ვივალდი – სონატა (გადამუშავებული ლებედევის მიერ);
2. ერთი პიესა - შემსრულებლის შერჩევით;
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები;

III ტური

ერთ-ერთი კონცერტი შემდეგი ჩამონათვალიდან:
-ფ. დავიდი - კონცერტინო მი-ბემოლ მაჟორი;
-ვ. კიკტა - კონცერტი დო მაჟორი.

(კონცერტი შესრულდება ფორტეპიანოს თანხლებით)